სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

31 ივლისი 2026

გადაწყვეტილება # P26000006/5 (31/07/2026 17:38:54)

განცხადების განხილვის ვადის დინების შეჩერების შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება #**P26000006** 02/07/2026 17:24:31 (განმცხადებელი: ვიქტორ ყიფიანი), რომლითაც მოთხოვნილია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) რეგისტრაცია.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (პარტია)
დასახელება: **ჯერ საქართველო**

1. აღწერილობითი ნაწილი:

განმცხადებლის მიერ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, 2026 წლის 2 ივლისს წარდგენილია #P26000006 განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ჯერ საქართველო“ დამფუძნებელი ყრილობის ოქმი, წესდება, ლოგოსა და დროშის ესკიზები, თავმჯდომარის თანხმობა, ხელმოწერის ნიმუში, პოლიტიკური საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრთა თანხმობა, ცნობა საბანკო ნომრის მფლობელის შესახებ, თანხმობა ტელეფონის ნომრის გამოყენებისა და იურიდიული მისამართის შესახებ, ცნობა, წევრთა სია (მატერიალური, ელექტრონული), სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი) ერთად.

აღნიშნული განცხადებით მოთხოვნილია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ჯერ საქართველო“ რეგისტრაცია.

სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება რეგისტრაციის პირობებს შემდეგი გარემოებების გამო:

2. დასაბუთება:

2.1. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლისა და 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „პარტიის შესაქმნელად მოქალაქეთა არანაკლებ 300-კაციანი ჯგუფი წინასწარი ნებართვის გარეშე ატარებს პარტიის დამფუძნებელ ყრილობას (კონფერენციას, კონგრესს, ასამბლეას ან სხვ.). პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინება მონაცემები სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, პირადობის მოწმობის ნომერის, სამუშაო ადგილის, საცხოვრებელი ადგილის მისამართისა და ტელეფონის მითითებითა და მათი ხელმოწერებით.“.

ამასთან, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს №161 ბრძანებით დამტკიცებული „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრის წარმოების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „აღნიშნული ინფორმაცია დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს ისეთი ელექტრონული ფორმით (ელექტრონული ცხრილის სახით - xlsx, cvs, ან მსგავსი ფორმატი; კოდირება UTF8), რაც რეგისტრაციის სამსახურს მისცემს შესაბამისი მონაცემების ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით დამუშავების შესაძლებლობას. ელექტრონული ფორმით შედგენილი ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ თანმიმდევრობით და სიზუსტით, როგორც ეს მითითებულია ქაღალდის მატარებელზე.“.

მარეგისტრირებელ ორგანოში, დაინტერესებული პირის მიერ, 2026 წლის 2 ივლისს წარდგენილია ქაღალდის მატარებელზე (მატერიალური) შედგენილი 364 პირის სია და ელექტრონული ფორმით (ელექტრონული ცხრილი - xlsx ფორმატი) შედგენილი 332 პირის სია.

ქაღალდის მატარებელზე (მატერიალური) და ელექტრონულ ფორმატში (ელექტრონული ფორმით) შედგენილ სიებში ფიქსირდება შეუსაბამობა, კერძოდ, ელექტრონულ ფორმატში (ელექტრონული ფორმით) შედგენილი ინფორმაცია არ არის წარდგენილი იმ თანმიმდევრობით და სიზუსტით, როგორც ეს მითითებულია ქაღალდის მატარებელზე. ამასთან, წარდგენილი სია (როგორც ქაღალდის მატარებელზე, ისე ელექტრონულ ფორმატში) შედგენილია ხარვეზებით (მათგან, ცალკეულ პირებს ერთდროულად უფიქსირდებათ რამდენიმე ტიპის ხარვეზი). 364 პირის სიიდან განხილული/ გადამოწმებული იქნა ქაღალდის მატარებელზე (მატერიალური) და ელექტრონულ ფორმატში (ელექტრონული ფორმით) შედგენილი 332 პირის მონაცემი. აქედან, 258 პირის მონაცემი (როგორც ქაღალდის მატარებელზე, ისე ელექტრონულ ფორმატში) შედგენილია ორგანული კანონით გათვალისწინებული წესით, ხოლო 74 პირის მონაცემი - ხარვეზით, კერძოდ, არასწორად ან/და არასრულად არის მითითებული:
• 15 პირის დაბადების თარიღი (ელექტრონული ცხრილი: N23, N26, N113, N198, N214, N233, N261, N280, N281, N298, N307, N310, N311, N340, N360);
• 9 პირის სახელი (ელექტრონული ცხრილი: N59, N198, N280, N281, N285, N286, N319, N340, N360);
• 12 პირის გვარი (ელექტრონული ცხრილი: N56, N97, N110, N280, N281, N301, N310, N311, N319, N336, N340, N360);
• 50 პირის პირადობის მოწმობის მონაცემი (ელექტრონული ცხრილი: N2, N10, N21, N23, N39, N43, N45, N54, N55, N63, N64, N75, N77, N88, N105, N110, N111, N118, N132, N185, N195, N197, N199, N203, N208, N209, N235, N238, N254, 258, N273, N280, N281, N303, N310, N311, N313, N315, N316, N321, N322, N325, N334, N340, N345, N346, N351, N356, N360, N362);
• 4 პირის სამუშაო ადგილის შესახებ ინფორმაცია (ელექტრონული ცხრილი: N295, N313, N314, N322);
• ერთი პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართი (მატერიალური ცხრილი: N281).

ამასთან, სიაზე (მატერიალური) არ ფიქსირდება ერთი პირის ხელმოწერა (ელექტრონული ცხრილი: N71), 7 პირის მონაცემი დუბლირებულია (ელექტრონული ცხრილი: N66 და N256, N5 და N353, N14 და N349, N65 და N357, N32 და N350, N85 და N354, N102 და N306), სიაში შეტანილია ერთი გარდაცვლილი პირის მონაცემი (ელექტრონული ცხრილი: N129), რითაც დარღვეულია „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვით „პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება აქვს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეს.“.

შესაბამისად, მარეგისტრირებელ ორგანოში დამატებით წარდგენილ უნდა იქნეს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ჯერ საქართველო“ კორექტირებული/შესწორებული, სათანადო წესით შედგენილი და ხელმოწერილი სია, ზემოაღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით, როგორც ქაღალდის მატარებელზე, ისე ელექტრონულ ფორმატში (ელექტრონული ფორმით შედგენილი ინფორმაცია წარდგენილი უნდა იქნეს იმ თანმიმდევრობით და სიზუსტით, როგორც ეს მითითებულია ქაღალდის მატარებელზე), რაც რეგისტრაციის სამსახურს მისცემს შესაბამისი მონაცემების ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით დამუშავების შესაძლებლობას.

2.2. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინება ესკიზები პარტიის ბეჭდის, ემბლემისა და სხვა სიმბოლიკის გამოსახულებით, თუ ასეთები გამოიყენება.

მარეგისტრირებელ ორგანოში, რეგისტრაციის მიზნით, წარდგენილი 12.1. მუხლის მიხედვით, პარტიას აქვს ლოგო და დროშა. აღნიშნული სიმბოლიკის აღწერილობა მოცემულია წესდების 12.2. და 12.3. მუხლებში. ამავე წესდების 1.2. მუხლის მიხედვით, პარტიას ასევე აქვს ბლანკი (სატიტულო ფურცელი), თუმცა წესდება არ შეიცავს ბლანკის (სატიტულო ფურცელი) აღწერილობას. ამასთან, აღნიშნული სიმბოლიკის (ბლანკი) ესკიზი მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენილი არ არის.

შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დამატებით წარსადგენია ორგანული კანონის ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი დოკუმენტაცია.

2.3. მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენილი წესდების 4.3. მუხლის მიხედვით, პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელს ირჩევს პარტიის პოლიტიკური საბჭო. ამავე წესდების 6.5. „ზ“ მუხლის მიხედვით, პარტიის პოლიტიკური საბჭო ამტკიცებს სტრუქტურული ქვედანაყოფის თავმჯდომარეების კანდიდატურებს. ამავე წესდების 8.2. „გ“ მუხლის მიხედვით, პარტიის აღმასრულებელი მდივანი, პარტიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით პარტიის პოლიტიკურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს კონფერენციაზე ასარჩევ სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების კანდიდატურებს.

შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენილი წესდების 4.3., 6.5. „ზ“ და 8.2. „გ“ მუხლებით გათვალისწინებული რეგულაციები.

2.4. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მიზნით, წარდგენილი წესდების 4.4. მუხლის მიხედვით, პარტიის საქმიანობას ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს პარტიის სამდივნო, რომლის დებულებას პარტიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პარტიის პოლიტიკური საბჭო. ამავე წესდების 8.2. „ბ“ მუხლის მიხედვით, პარტიის აღმასრულებელი მდივანი, პოლიტიკურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს პარტიის სამდივნოს დებულებას. ხოლო, წესდების 9.3. მუხლის მიხედვით, პარტიის სამდივნოს საქმიანობის წესი განისაზღვრება სამდივნოს დებულებით, რომელსაც აღმასრულებელი მდივნის წარდგინებით ამტკიცებს პოლიტიკური საბჭო.

ამდენად, დაზუსტებასა და ურთიერთშესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს წესდების 4.4., 8.2. „ბ“ და 9.3. მუხლებით გათვალისწინებული რეგულაციები.

2.5. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 18.1. მუხლის მიხედვით, პარტიის აღმასრულებელ ორგანოს - გამგეობას, წესდებით დადგენილი ვადით, არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით ირჩევს ყრილობა.

მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენილი წესდების 6.2. მუხლის მიხედვით, პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობაში შედიან პარტიის თავმჯდომარე და პარტიის ყრილობის მიერ 4 (ოთხი) წლის ვადით არჩეული არანაკლებ 2 (ორი) წევრი. ამავე წესდების 7.3. მუხლის მიხედვით, პარტიის თავმჯდომარე თანამდებობრივად შედის პარტიის პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობაში.

ამდენად, მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენილი წესდების 6.2. მუხლი შესაბამისობაშია მოსაყვანი ორგანული კანონის 18.1. მუხლთან.

2.6. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი წესდების 6.5. „დ“ მუხლის მიხედვით, პარტიის პოლიტიკური საბჭო, იღებს გადაწყვეტილებებს პარტიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის თაობაზე. ამავე წესდების 7.4. „დ“ მუხლის მიხედვით, პარტიის თავმჯდომარე შეუზღუდავად ხსნის და ხურავს საბანკო დაწესებულებაში საბანკო ანგარიშებს, შეუზღუდავად განკარგავს პარტიის ფინანსებს (ფულად სახსრებს), პარტიის მოძრავ და უძრავ ქონებას.

დაზუსტებასა და ურთიერთშესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს წესდების 6.5. „დ“ და 7.4. „დ“ მუხლებში არსებული ჩანაწერი, ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების ფარგლებთან დაკავშირებით.

2.7. ბუნდოვანია და დაზუსტებას საჭიროებს რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი წესდების 6.4. მუხლში არსებული შემდეგი ჩანაწერი „ხმების გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილება არ მიიღება“.

2.8. მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენილ წესდებაში ტექნიკურ-რედაქციულ შესწორებას საჭიროებს (ნომერაცია, სიტყვები) ცალკეული მუხლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მარეგისტრირებელ ორგანოში დამატებით წარდგენას ექვემდებარება უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული, კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სათანადო წესით შედგენილი და დამოწმებული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია.

3. დასკვნა:

3.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა ურთიერთშეჯერების შედეგად, დგინდება, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს.

3.2. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს N161 ბრძანებით დამტკიცებული „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრის წარმოების წესის“ მე-4 პრიმა მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

გადაწყვიტა:

1. შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება #P26000006 განცხადებაზე.
2. დადგენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად განისაზღვროს 10 დღის ვადა.
3. რეგისტრაციის მიზნით, დამატებით წარდგენილ იქნეს, წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული, კანონმდებლობით მოთხოვნათა გათვალისწინებით, სათანადო წესით შედგენილი და დამოწმებული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია.
4. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მიღებული იქნება გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
5. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.#22, ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია იუსტიციის სახლში, მის ფილიალებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge მეშვეობით.